ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 179/8

ქ. თბილისი „27" „08" 2015 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში „შემსყიდველი", მინისტრის მოადგილის ვალერი კვარაცხელიას სახით და მეორეს მხრივ შპს "პისიშოპ.ჯი" შემდგომში "მიმწოდებელი", დირექტორის ზურაბ ხორგუაშვილის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

2.1. შემსყიდველმა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2015 წლის ასიგნებების ფარგლებში, განახორციელა ოპტიკური ხელსაწყოების გამარტივებული შესყიდვა (CPV38600000), რაზედაც მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი 2609 (ორი ათას ექვსასცხრა) ლარად დამატებითი ღირებულების გათვალისიწნებით (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები:

N	აღწერილობა	რაოდნ.	ერთ. ფასი	ჯამი
1	Infocus IN226 DLP Projector - DLP, 3500lm, 1024 x 768, 17'000:1, 1m~7.6m Diagonal, 1.2~12m Distance, HDMI, VGA, S-Video, USB mini (B), 2W Speaker, 5000-6000 Hours, 2Y(IN226)	1	1,080.00	1,080.00
2	BenQ MW526E DLP Projector - DLP, 3200lm, 1280 x 800, 13'000:1, 1m~7.62m Diagonal, 1.49 -1.79 Throw Ratio, HDMI, VGA, S-Video, USB (B), 2W Speaker, 4,500-10,000 hours, 3Y(9H.JD977.33E)	1	1,099.00	1,099.00
3	Sopar Junior 1200 Tripod Projection Screen - Width/Height Size: 200cm x 200cm, Diagonal Size: 111" (282cm), Aspect Ratio: 1:1, Color: White(1200)	1	240.00	240.00
4	Elite Screens M100UWH Projection Screen - Width/Height: 221cm x 125cm, Diagonal: 100" (254cm), Aspect R	1	190.00	190.00
				2609.00

4. საქონლის მოწოდების პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) დღის განმავლობაში;

4.2. მიწოდების ადგილი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ქ.თბილისი, წერეთლის გამზ. №144.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ერთჯერადად, ფაქტიურად მოწოდებული საქონლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების 14.1. პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორის მიერ მომზადებული ინსპექტირების აქტის საფუძველზე სამ ეგზემპლარად შედგენილი მიღება–ჩაბარების აქტით (დანართი№1).

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

6.2. ანგარიშსწორება იწარმოებს მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტ(ებ)ის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 საბანკო დღის განმავლობაში;

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.2. „მიმწოდებელი" წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლის პირველ და მეორე პოზიციით განსაზღვრულ საქონელზე იძლევა 1 წლიან გარანტიას; საგარანტიო პერიოდის ათვლა იწყება მხარეთა შორის მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან;

7.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია დაზიანებული საქონელი და/ან ნაწილი შეცვალოს ახლით, საკუთარი ხარჯებით და პასუხისმგებელია მის ხარისხზე;
7.4. „შემსყიდველი“ ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8. მხარეთა უფლება
8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს მოწოდებული საქონლის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი.

9. ფორს-მაჟორი
9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
9.2. ამ ხელშეკრულებაში „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა
10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.3 ნებისმიერ ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა
11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების

შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0, 2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით.
13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
14.1. ხელშეკრულების შესრულების შუალედურ და საბოლოო კონტროლს განახორციელებენ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორები, სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროგრამული უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ირაკლი ელიაშვილი.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა
15.1. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:
15.1.1. მხარეთა შეთანხმებით;
15.1.2. თუ მიმწოდებელი სისტემატურად არღვევს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს;

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.
16.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2015 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით.

17. დასკვნითი პირობები
17.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად (---- გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება - `მომწოდებელთან", ხოლო ორი - `შემსყიდველთან".

„შემსყიდველი"
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო
ქ. თბილისი, წერეთლის გამზ.№144
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური
საიდენტიფიკაციო კოდი
211333957

ვალერი ჯორბენაძე
მინისტრის მოადგილე

"მიმწოდებელი"
შპს "პისიშოპ.ჯი"
ქ. თბილისი, ვაჟა–შაველას გამზ#18
საიდენტიფიკაციო კოდი 205198481,
ს.ს. „ საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი BAGAGE22
ა/ა № GE27BG0000000184252600

ზურაბ ხორგუაშვილი
დირექტორი

ვიზა: ი. ბიბილაშვილი
მ. ჯანიაშვილი
მ. თავთეთრიშვილი
თ. შალამბერიძე
ა. თორია
ი. ელიაშვილი

შემსრულებელი: ზ. ფესვიანიძე

დანართი №1

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამინისტროს აპარატის ხარჯებისათვის
გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში მიღებული საქონლის
მიღება – ჩაბარების

ა ქ ტ ი

ქ. თბილისი „——“ ———— 2015 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, შემსყიდველი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი ბატონი

და, მეორე მხრივ, მომწოდებელი _____
(ორგანიზაციის დასახელება)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ მიმწოდებელმა შემსყიდველს მიაწოდა საქონელი _____.
(თარიღი)

2015 წლის „___“ „_____“ № ____ ხელშეკრულების პირობით

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს _____.
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

_____ თვეში მიწოდებული საქონლის ღირებულებამ შეადგინა:
(თვის დასახელება)

_____
(თანხა – ციფრებით და სიტყვიერად)

ნაზარდი ჯამით შესრულებულია _____
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

ანაზღაურებულია _____
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მიიღო	ჩააბარა
1. ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი	1. ხელმძღვანელი
2. პასუხისმგებელი შემსრულებელი	

ბ. ა.

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

„27“ „08“ 2015 წ. თბილისი.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვადასტურებთ რომ, შპს ”პისიშოპ.ჯი”-ს მიმართ, სრულად ვაკმაყოფილებთ “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

ვიზა: ვ. კვარაცხელია

ი. ბიბილაშვილი

მ. ჯანიაშვილი

თ. შალამბერიძე

ი. ელიაშვილი

ზ. ფესვიანიძე